დამტკიცებულია
შპს მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის
2019 წლის 05/06 N16 ბრძანებით
ცვლილებები განხორციელდა
2023 წლის 05/04 N 010003080 ბრძანებით

შპს მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯი

ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები
(წესი)

მარნეული
2019

თავი 1.

1.წინამდებარე წესი განსაზღვრავს შპს მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯის (შემდგომში კოლეჯის) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმებს.
2.წინამდებარე წესით გათვალისწინებული მექანიზმების განხორციელებაზე პასუხისმგებელია კოლეჯის შრომის უსაფრთხოების დაცვის თანამშრომელი და დირექტორის მოადგილე (სამეურნეო დარგში)

თავი 2.

1. დირექტორის მოადგილის (სამეურნეო დარგში) ფუნქცია მოვალეობებია:
   1.1.კოლეჯის ბალანსზე არსებული შენობა–ნაგებობების, ცალკეული სათავსოების, ოთახების, კორიდორების, სველი წერტილების, კოლეჯის მიმდებარე პერიმეტრის უსაფრთხოების, ცეცხლმაქრების საექსპლუატაციო ვარგისიანობის, აგრეთვე სანიტარულ– ჰიგიენური ნორმების დაცვის, ელექტრომომარაგების, ელექტროგაყვანილობის გამართული მუშაობისა და განათების, წყალმომარაგების, წყლისა და საკანალიზაციო მილგაყვანილობისა და გათბობის სისტემის გამართული მუშაობის ადმინისტრირება;
   1.2.საევაკუაციო გზებისა და გასასვლელების მდგომარეობის, გადარჩენის ინდივიდუალური და ჯგუფური საშუალებების არსებობისა და გამართულობის უზრუნველყოფა;
   1.3.ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების შესაბამისი პროცედურების განხორციელების უზრუნველყოფა;
   1.4.საგანგებო სიტუაციების პრევენცია და მათზე რეაგირება;
   1.5.კოლეჯში არსებული ნივთიერებების, მასალების, ნაკეთობებისა და დანადგარების, მათ ტექნიკურ დოკუმენტაციაში ხანძარსაშიშროების მაჩვენებლების შესახებ ცნობების აღრიცხვა და გამოყენებისას სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვაზე ზედამხედველობა;
   1.6.დაცვის ტექნიკური საშუალებების (ვიდეომეთვალყურეობის და სასიგნალიზაციო) ფუნქციონორების მონიტორინგის ადმინისტრირება;
   1.7.ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარის (სახანძრო ონკანების, ცეცხლმაქრების და სხვა ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებების) მუდმივად გამართულ მდგომარეობაში არსებობის უზრუნველყოფა;
   1.8. სხვა ფუნქცია მოვალეობები გაწერილია თანამდებობრივ ინსტრუქცია დებულებაში.
2. შრომის უსაფრთხების დაცვის თანამშრომლის ფუნქცია-მოვალეობებია:
   2.1.კოლეჯში დასაქმებულთა შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფა.
   2.2.კოლეჯის შენობა-ნაგებობების უზრუნველყოფა გამაფრთხილებელი ნიშნებით;
   2.3.სახანძრო ინსტრუქციების შემუშავებასა და იმიტაციების ჩატარება ყოველწლიურად;
   2.4.კონკრეტულ სამუშაო ადგილებზე სამუშაო პირობების შესწავლის ორგანიზება;
   2.5.საევაკუაციო გეგმებისა და სათადარიგო საევაკუაციო გასასვლელების კონტროლი;
   2.6.საკანონმდებლო და ნორმატიული აქტებით გათვალისწინებული, შრომისა და ტექნიკური უსაფრთხოების წესების დაცვის უზრუნველყოფა და კონტროლი;
   2.7. სხვა ფუნქცია მოვალეობები გაწერილია თანამდებობრივინსტრუქცია დებულებაში.

თავი 3.

1.ცეცხლის კერის დანახვისთანავე დაუყოვნებლივ დატოვეთ შენობა ან შეეცადეთ ჩააქროთ ცეცხლი. საჭროების შემთხვევაში ისარგებლეთ საევაკუაციო გასასვლელით.

2.თუ გადაწყვეტთ არ დატოვოთ შენობა და თავად შეებრძოლოთ ცეცხლს მაშინ აუცილებელია დაიცვათ შემდეგი მოთხოვნები:

2.1.თუ თვლით, რომ ცეცხლთან გამკლავება ძნელი იქნება ცეცხლის ჩაქრობის დაწყებამდე აუცილებლად უნდა დარეკოთ სახანძროში.

2.2.უნდა იცოდეთ ცეცხლმაქრის გამოყენების წესები. წესების არცოდნის შემთხვევაში დაუყოვნებლივ დატოვეთ შენობა.

2.3. აუცილებლად უნდა შეამოწმოთ არის თუ არა ცეცხლმაქრი სავსე.

3. შრომის უსაფრთხოების დაცვის თანამშრომლის მოთხოვნის შემთხვევაში კოლეჯის პერსონალი და პროფესიული სტუდენტები/მსმენელები ვალდებული არიან დაუყოვნებლივ დატოვონ შენობა.

4. თუ ხანძრის დროს ვერ ახერხებთ შენობიდან გამოსვლას:

4.1.შედით ყველაზე უსაფრთხო ოთახში, დაკეტეთ კარები და კარებთან დააფინეთ სველი ტილო ან სხვა ნაჭერი ისე, რომ მაქსიმალურად შეზღუდოთ ოთახში კვამლის შემოსვლა.

4.2.თუ თქვენსა და ცეცხლის კერას შორის არის ერთი ან რამდენიმე კარები, აუცილებლად დაკეტეთ აღნიშნული კარებები.

4.3. იყავით მზად იმისათვის, რომ მოვლენ თქვენს დასახმარებლად და ყური დაუგდეთ შესაბამის სიგნალს.

5.თუ კვამლმა შემოაღწია ოთახში, დაწექით იატაკზე, ისუნთქეთ მხოლოდ ცხვირით და სუნთქვისას აიფარეთ ცხვირსახოცი ან სხვა ნაჭერი.

6.თუ გადაწყვიტეთ გაიაროთ ცეცხლმოკიდებულ ტერიტორიაზე, აუცილებლად დაიფარეთ წინასწარ თავი და თმები, შეიკავეთ სუნთქვა და იმოძრავეთ შეძლებისდაგვარად სწრაფად. მოძრაობისას ეცადეთ მაქსიმალურად დახუჭოთ თვალები.

7.პერსონალის შშმ და სსმ წარმომადგენლები და შშმ და სსსმ პროფესიული სტუდენტები/მსმენელები აუცილებლად უნდა გავიდნენ ყველაზე უსაფრთხო ოთახში და დაელოდონ დახმარებას.

8.საჭიროების შემთხვევაში ისარგებლეთ საევაკუაციო გასასვლელით. საევაკუეაციო გეგმა საჯაროდ განთავსებულია კოლეჯის შენობის 11 (თერტმეტ) წერტილში, ხოლო ცეცხლმაქრები და მათი გამოყენების ინსტრუქცია - შენობის 10 (ათი)) წერტილში.

.<u>ცეცხლმაქრის გამოყენების ინსტრუქცია</u>

9.გადაუდებელ და საგანგებო სიტუაციებში დახმარების გამოძახების ერთიანი სატელეფონო ნომერია 112, რომელიც არის 24-საათიანი საგანგებო სიტუაციების მართვის ცენტრი.

10.112-ზე დარეკვა შესაძლებელია ნებისმიერი ტელეფონიდან და ზარი უფასოა.

11.112-ზე დარეკვისას ისაუბრეთ გარკვევით და მშვიდად უთხარით ოპერატორს თქვენი სახელი და ადგილსამყოფელი. არ დაკიდოთ ყურმილი პირველმა.

მუხლი 4.

1. წინამდებარე წესს ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი ბრძანებით.
2.წინამდებარე წესის გაუქმება, მასში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა ხორციელდება დირექტორის ბრძანებით.
3.ქმედებები რომელიც არ არის გაწერილი წინამდებარე წესში, რეგულირდება საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული რეგულაციით.